

# Biana und die Räuber

# ბიანა

## Eine Räubergeschichte mit ungewissem Ausgang

Sicher hätte Krückh einen Ausweg gefunden.

Denn Krückh fand immer einen Ausweg.

Wenn er wollte.

Doch diesmal wollte er nicht.

«Was soll ich,» dachte Krückh, «einen Ausweg finden? Wenn es ohne Ausweg doch zweifellos viel interessanter ist?»

Die Räuber fesselten Biana und steckten sie in einen Sack.

Als die Räuber sie packten, hatte sie kurz und überrascht “Hey” geschrien; und während man sie fesselte, rief sie “Was macht ihr denn da!”; und wie sie dann in den Sack gesteckt wurde, wand sie sich etwas und sagte “Ihr seid verrückt”.

Hätte sie richtig geschrien und sich gewehrt, so hätte Krückh sicher etwas getan. Denn er hat ein weiches Herz, und wenn er jemanden leiden sieht, so hilft er. Bloß hatte er nicht den Eindruck, als ob Biana unter dem, was man mit ihr anstellte, besonders litte; denn sicherlich hätte sie sonst lauter geschrien und sich auch gewehrt, vielleicht gar mit ihren langen Fingernägeln den Leuten die Gesichter zerkratzt. Krückh erinnerte sich, daß sie vor zehn Jahren leidenschaftlich und gekonnt jeden kratzte, den sie wollte; obwohl sie damals noch keine so langen Fingernägel hatte. Ihn selbst hat sie zwar nie gekratzt; denn er war damals schon sechsundzwanzig und für sie, die erst acht war, ein Erwachsener und somit eine Respektsperson, die man nicht kratzen durfte. Dafür hat sie ihm mehrfach leere Blechdosen ans Auto gehängt; und Krückh erinnert sich bis heute daran, wie sehr das schepperte. Für ihn war sie damals ein ungezogenes Nachbarsgör, welches er von Herzen zum Teufel wünschte.

Doch das war damals...

ვრავლოვი აუცილებლად იპოვიდა გამოსავალს.

რადგანაც ვრავლოვი ყოველთვის პოულობს გამოსავალს.

თუ უნდა.

მაგრამ ამჯერად არ უნდოდა.

რატომ უნდა ვიპოვო გამოსავალი? გაიფიქრა ვრავლოვმა. გამოსავლის გარეშე ხომ – უფრო საინტერესოა.

ყაჩაღებმა გაკოჭეს ბიანა და ჩატენეს ტომარაში.

როდესაც ის შეიპყრეს, ბიანამ გაკვირვებისგან წამოიკვილა; და სანამ მას ხელ-ფეხს უკოჭავდნენ ყაჩაღებს ეწინააღმდეგებოდა: „რას სჩადით“ და როცა ის ბოლოსდაბოლოს ჩატენეს ტომარაში აღმოხდა: „თქვენ სულ გაგიჟდით!“

ვრავლოვს რომ დაენახა, რომ ბიანა მართლაც შეშინებულია - აუცილებლად ჩაერეოდა. რადგანაც ის გულჩვილი ადამიანია და ყოველთვის ეხმარება გასაჭირში მყოფთ. თუმცა ამჯერად მას არ მოეჩვენა, რომ ბიანა განსაკუთრებით იტანჯებოდა ასეთი მოპყრობის გამო. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიანა უფრო ხმამაღლა იყვირებდა, ყაჩაღების მოგერიებას ეცდებოდა და თავისი გრძელი ფრჩხილებით სახეებს დაუკაწრავდა მათ. ვრავლოვს გაახსენდა თუ რა გამეტებით უკაწრავდა იგი ათი წლის წინ სახეებს ყველას, ვინც კი თვალი არ მოუვიდოდა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ასეთი გრძელი ფრჩხილები არ ჰქონდა. თუმცა ვრავლოვისთვის, მას არასოდეს დაუკაწრავს სახე. რადგან ვრავლოვი იმ დროისთვის უკვე 26 წლის იყო, და ბიანასთვის, რომელიც იყო მხოლოდ 8 წლის, ის განეკუთვნებოდა პატივსაცემ ადამიანთა რიცხვს, რომელთა დაკაწრვაც აკრძალულია. სამაგიეროდ ბიანას არაერთხელ მიუმაგრებია ცარიელი ქილები მისი მანქანისთვის, და ვრავლოვს დღემდე ახსოვს, თუ როგორ გრუხუნებდა ეს ყველაფერი. მისთვის, ათი წლის წინ, ის იყო უბრალოდ გაუზრდელი, თავხედი მეზობლის გოგონა, რომელსაც ვრავლოვი მთელი სულითა და გულით წყევლა-კრულვას უგზავნიდა.

მაგრამ ეს იყო მაშინ.

Als die Räuber sie in den Sack steckten, rutschte ihr Rock hoch; und er sah, daß sie außerordentlich schöne Beine hat. Dies machte auf ihn einen sehr starken Eindruck, der all die Erinnerungen, welche von dem kratzenden und Blechbüchsen ans Auto hängenden Nachbarsgörr in irgendwelchen Winkeln seines Gedächtnisses noch übrig waren, weitgehend überdeckte.

Während Biana gefesselt und in den Sack gesteckt wurde, hielt ein sehr kleiner und sehr hagerer Räuber ein großes Messer auf Krückh gerichtet. Richtig komisch sah es aus, wie er so breitbeinig dastand und offenbar der Meinung war, er hielte Krückh mit seinem Messer in Schach. Krückh fand, daß es keinerlei Probleme bereiten würde, dem Räuber das Messer zu entwenden und ihn mitsamt seiner Kollegen zu überwältigen. Denn er war Fachmann für asiatischen Kampfsport; und großes Vergnügen bereitete es ihm, sich vorzustellen, mit was für Griffen man die zahllosen Blößen, welche die ungeübten Räuber sich gaben, nutzen könnte, um die Situation zu seinen Gunsten zu entscheiden. Nur war er sich nicht sicher, ob ein Nutzen dieser Blößen tatsächlich zu seinen Gunsten wäre und ob er durch ein solches Eingreifen nicht den Gang der Ereignisse von einer vielleicht höchstlich interessanter Richtung ablenken würde. Und viel mehr noch als die Blößen, die der Räuber sich gab, beschäftigten ihn die entblößten Beine seiner Begleiterin. Da sie selbst, als die Hauptbetroffene, an dem Geschehen offenbar keinen sonderlichen Anstoß nahm, beschloß er, ein Eingreifen so lange als möglich hinauszuschieben oder gar, wenn es sich machen läßt, ganz zu unterlassen. Die Räuber waren so ungeschickt, daß er die Lage voll unter Kontrolle hatte und frei disponieren konnte.

Zwei Räuber, die sehr klein und sehr dick waren und aussahen wie Zwillinge, hielten den Sackrand oben zusammen, während ein dritter, der sehr lang und sehr dünn war, ihn mit einer riesigen Schnur zuband. Kaum war er damit fertig, wie aus dem Sacke Bianas kecke Stimme ertönte:

“Und wieso habt ihr mich nicht geknebelt?”

Wieder mußte Krückh an das sommersprossige Görr denken, das Blechbüchsen an Autos hängte und sonstigen Schabernack trieb; die Beine hatten sie offenbar nicht ganz verdrängt. Doch nun war sie ihm plötzlich sympathisch.

Die Räuber antworteten nicht und machten nachdenkliche Gesichter.

“Warum willst du, daß man dich knebelt?” fragte Krückh, da die Räuber schwiegen.

“Damit ich nicht schreie,” antwortete Biana

როდესაც ყაჩაღები ტენიდნენ ბიანას ტომარაში, მას კაბა აეწია, და ვრავლოვმა შეამჩნია რომ მას საოცრად ლამაზი ფეხები ჰქონდა. რამაც მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. შთაბეჭდილება, რომელმაც თითქმის მთლიანად გადაფარა მოგონებები ფხაჭნია და ქილების მიმმაგრებელ მეზობლის გოგონაზე.

სანამ ბიანას კოჭავდნენ და ტენიდნენ ტომარაში, ერთ პატარა და ჩამომხმარ ყაჩაღს ხელში დიდი დანა ეკავა, რომლის წვერიც ვრავლოვის მუცლისკენ იყო მიმართული. მართლაც სასაცილოდ გამოიყურებოდა, თუ როგორ იდგა იგი გაბლენძილი, და ეგონა თითქოს თავისი დანით საფრთხეს უქმნიდა ვრავლოვს. ვრავლოვი კი თვლიდა, რომ იგი იოლად შეძლებდა ყაჩაღისთვის დანის წართმევას და თანამზრახველებთან ერთად მის გაუვნებელყოფას. იგი აღმოსავლური ორთაბრძოლის ხელოვნებას ფლობდა, და მისთვის სახალისო იყო იმის წარმოდგენა, თუ რა ილეთებით შეძლებდა ვითარების თავის სასარგებლოდ შემოტრიალებას. რადგანაც ეს ყაჩაღები ძალიან მოუხერხებლები იყვნენ. მაგრამ სასურველი იყო თუ არა ასეთი შემოტრიალება - ამაში ის დარწმუნებული არ იყო. და არ გამორიცხავდა, რომ ჩარევით ის ხელს შეუშლიდა მოვლენების საკმაოდ საინტერესო მიმართულებით განვითარებას. ფეხები ხომ - უღმერთოდ ლამაზი ჰქონდა... თვითონ ბიანა, როგორც ჩანდა ამ ყველაფრის წინააღმდეგი არ იყო. ამიტომ ვრავლოვმა გადაწყვიტა რაც შეიძლება დიდხანს არ ჩარეულიყო, ან - საერთოდ არ ჩარეულიყო. რადგანაც ყაჩაღები იმდენად გამოუცდელები და მოუხერხებლები იყვნენ, რომ ის ვითარებას სრულად ფლობდა.

ორ ძალიან დაბალ და მსუქან ყაჩაღს, რომლებიც ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს, ტომრის ყელი ეკავათ, ხოლო მესამე - ძალიან გრძელი და გამბდარი დიდი თოკის მეშვეობით ტომარას თავს უკრავდა. როდესაც ყველაფერი მზად იყო - უეცრად ტომრიდან ბიანას ხმა გაისმა:

„რატომ არ ამიკარით პირი?“

ვრავლოვს კვლავ გაახსენდა მეზობლის თავხედი გოგონა, რომელიც მანქანას ქილებს აბამდა. მაგრამ უეცრად მას იგი მოეწონა.

რადგანაც ყაჩაღები სდუმდნენ, ვრავლოვმა იკითხა:

„რატომ გინდა რომ პირი ავიკრან?“

„რომ არ ვიყვირო“ უპასუხა ბიანამ.

“Dann schrei einfach nicht, wenn du nicht willst, daß du schreist,” riet Krückh.

“Blödmann!” tönte es aus dem Sack “Du bist noch immer der gleiche Esel wie damals, als ich dir Blechbüchsen ans Auto hängte...”

“Was hat die Frage, ob man dich knebeln soll, mit Blechbüchsen zu tun?” wunderte sich Krückh.

“Weiß ich auch nicht...” antwortete Biana. “Aber blöd bist du trotzdem. Ist doch Leichtsinn, jemanden ungeknebelt in einem Sack davonzutragen; vor allem, wenn die Betreffende so unberechenbar ist wie ich.”

“Unberechenbar bist du sicher,” bestätigte Krückh.

“Stell dir vor, die gehen mit dem Sack durch die Fußgängerzone, und ich fang plötzlich an zu schreien...”

“Das könnte peinlich werden,” pflichtete Krückh bei.

“Eben...” sagte Biana.

Der Räuber mit dem Messer wandte sich zu seinen Kameraden. “Ihr müßt sie knebeln,” sagte er. “Sonst kann’s Ärger geben.”

Krückh hätte den unaufmerksamen Räuber nun auch ohne asiatischen Kampfsport unschädlich machen können. Doch er blieb ungerührt stehen und sagte nur “Vergiß nicht, mich in Schach zu halten!”

Der Räuber wandte sich wieder seiner Aufgabe zu und umklammerte mit beiden Händen sein Messer.

“Macht den Sack auf und knebelt sie!” befahl er grimmig.

“Wo ich doch so schöne Knoten gemacht habe!” protestierte der Räuber mit der Schnur.

“Wir müssen den Sack wieder aufmachen!” beharrte der kurze Dicke. “Oder willst du, daß sie unterwegs schreit?”

“Nein,” antwortete der mit der Schnur. “Das will ich bei Gott nicht. Aber ich habe so schöne und so feste Knoten gemacht, daß ich sie nun nicht mehr aufkriege.”

“Schneidet sie doch einfach durch,” riet Krückh.

“Misch du dich da nicht ein,” fuhr der mit dem Messer ihn an.

„თუ არ გინდა რომ იყვირო, უბრალოდ ნუ იყვირებ“ ურჩია ვრავლოვმა.

„სულელიო!“ გაისმა ტომრიდან. „შენ ისევ ისეთი რეგვენი ხარ, როგორც მაშინ, როდესაც შენს მანქანას ქილებს ვაბამდი“

„რა შუაშია აქ ცარიელი ქილები?“ ვერ გაიგო ვრავლოვმა.

„ქილები არაფერ შუაშია...“ უპასუხა ბიანამ.

„მაგრამ შენ კი წყალწაღებული რეგვენი ხარ“.

„ეს ხომ წინდაუხედაობაა გაიტაცოვინმე ტომრით ისე, რომ წინასწარ პირი არ აუხვიო. მითუმეტეს, თუ ის ისეთი ჭირვეული არსებაა, როგორიც მე“.

„ჭირვეული რომ ხარ, ამას წყალი არ გაუვა“ დაადასტურა ვრავლოვმა.

„წარმოიდგინე, მათ არხეინად მივყავარ ტომრით ქუჩაში, და უცებ მე დავიყვირე...“

„ხო, ამას მართლაც უსიამოვნებები მოყვებოდა“ დაეთანხმა ვრავლოვი.

„სწორედაც რომ...“ თქვა ბიანამ.

დანიანი ყაჩაღი მოუტრიალდა თავის ამხანაგებს - „აუკარით პირი, თორემ დავიღუპებით“.

უყურადღებო ყაჩაღის გაუგებელყოფა ვრავლოვს ახლა უკვე ყოველგვარი აღმოსავლური ორთაბრძოლის გარეშე შეეძლო. მაგრამ ის აუღელვებლად იდგა თავის ადგილზე და თქვა: „არ დაგავიწყდეს ჩემი გაკონტროლება“.

ყაჩაღი დაუბრუნდა თავის ამოცანას, და ორივე ხელით ჩაებლაუჭა დანის ტარს.

„გახსენით ტომარა და აუკარით პირი“ ბრძანა მან პირქუშად.

„არა და რა მოხდენილი კვანძები გავაკეთე“ შეეწინააღმდეგა თოკიანი.

„ტომარა უნდა გავხსნათ“ დაიჟინა დაბალმა მსუქანმა ყაჩაღმა. „თუ გინდა, რომ გზაში უეცრად იყვიროს?“

„ეს, ბუნებრივია, არანაირად არ მინდა“ უპასუხა თოკიანმა. „მაგრამ, მე ისეთი მოხდენილი და მყარი კვანძები გავაკეთე, რომ ისინი უკვე აღარ იხსნება...“

„უბრალოდ რომ გადავჭრათ თოკი?“ ურჩია ვრავლოვმა.

„შენი საქმე არაა“ შეუბღვირა დანიანმა.

“In dem Sack steckt immerhin meine Begleiterin,” verteidigte sich Krückh.

„Na und?“

“Wollt ihr mich nun knebeln oder nicht?” tönte es aus dem Sack

“Sie kriegen den Sack nicht auf,” sagte Krückh.

“Sie sollen die Schnur durchschneiden und anschließend eine neue nehmen!” riet Biana.

“Wir haben keine Schnur mehr,” sagte zerknirscht der Räuber, der den Sack zugebunden hatte.

“Nehmt einfach die Stricke, mit denen ihr mich gefesselt habt...”

“Wenn wir dich nicht fesseln, nimmst du den Knebel wieder ab. Oder noch schlimmer...” winkte der kurze Dike ab.

“Wenn ich meine Strümpfe ausziehe, könnt ihr mich mit meinen Strümpfen fesseln,” sagte Biana. “Strümpfe sind zum Fesseln geeignet. Und auch zum Knebeln.”

“Du kennst dich ja gut aus...” wunderte sich Krückh.

“Misch du dich nicht ein!” tönte es aus dem Sack.

“Wir machen den Sack wieder auf!,” sagte entschlossen der Räuber an der Schnur. “Hat jemand ein Messer dabei?”

Die Räuber suchten in ihren Taschen und schüttelten nacheinander die Köpfe. “Meines kann ich nicht entbehren,” sagte der Räuber, welcher glaubte, er hielte Krückh in Schach.

“Nehmt einfach meins,” sagte Krückh, griff flugs in die Tasche und warf dem Räuber, der den Sack zugebunden hatte, sein schweizerisches Qualitätstaschenmesser zu.

“Danke!” antwortete der Räuber. Ein rascher Schnitt, und Biana war wieder im Freien. Die Räuber lösten ihre Fesseln; sie rieb sich kurz die Handgelenke, zog dann ungeniert den Rock hoch, löste die Strapse und zog, kokett und sehr gekonnt, ihre Strümpfe aus. Dann ließ sie sich willig wieder fesseln. Die Füße wurden mit einem Strick zusammengebunden, die Hände mit einem Strumpf; und mit dem zweiten Strumpf wurde sie geknebelt. Krückh sah, daß die Räuber auch vom Knebeln keine Ahnung haben und daß der umgebundene Strumpf keineswegs geeignet war, Biana am Schreien zu hindern. Doch da sie selbst keine Einwände hatte, mischte er sich nicht ein.

„ტომარაში ბოლოს და ბოლოს ხომ ჩემი ნაცნობია...“ თავი იმართლა ვრავლოვმა.

„მერე რა?“

„ბოლოს და ბოლოს შემეკრავთ თუ არა პირს?“ კვლავ გაისმა ტომრიდან.

„ტომარას ვერ ხსნიან“ უპასუხა ვრავლოვმა.

„მაშინ გადაჭრან თოკი და მერე ახალი აიღონ“ ურჩია ბიანამ.

„მეტი თოკი აღარ გვაქვს“ გულდაწყვეტით თქვა ტომრის შემკვრელმა ყაჩაღმა.

„მაშინ უბრალოდ აიღეთ ის თოკები, რითიც გამკოჭეთ...“

„თუ არ გაგკოჭავთ ჩვარს გამოიღებ პირიდან ან რამეს უარესს ჩაიდენ“ ხელაქნევით ჩაილაპარაკა მსუქანმა.

„თუ ჩემს ჩულქებს გავიხდი, თქვენ შეძლებთ მათისაშუალებით შემკრათ“, თქვა ბიანამ. „ჩულქები გამოდგება; და პირსაც ჩულქებით ამიკრავთ“.

„კარგად ერკვევი“ გაიოცა ვრავლოვმა.

„შენ ნუ ერევი“ გაისმა ტომრიდან.

„ჩვენ გავხსნით ტომარას“ მტკიცედ თქვა თოკიანმა. „ვინმეს დანა ხომ არ გაქვთ?“.

ყაჩაღებმა ჯიბეებში დაიწყეს ქექვა, და ერთი მეორეს მიყოლებით აქნევდნენ თავს. „ჩემი დანა კი მე მჭირდება. ვერ მოგცემთ“ თქვა იმ ყაჩაღმა, რომელსაც ეგონა რომ ვრავლოვს აკონტროლებდა.

„ჩემი დანა აიღეთ“ თქვა ვრავლოვმა. სწრაფად ამოიღო ჯიბიდან თავისი შვეიცარული ჯაყვა და გადაუგდო იმ ყაჩაღს, რომელმაც ტომარა შეკრა.

„მადლობა“ უპასუხა ყაჩაღმა. მან გადაჭრა თოკი, და მალე ბიანა კვლავ თავისუფალი იყო. ყაჩაღებმა ხელ-ფეხი გაუხსნეს. ის ოდნავ ისრესდა მაჯას, და უეცრად, სიმორცხვის გარეშე, აიწია კაბა, გაიხსნა რეზინის სამაგრები, და კეკლუცად და მოხერხებულად გაიძრო ჩულქები. შემდეგ ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე მისცა ყაჩაღებს მისი კვლავ შეკვრის ნება. ფეხები შეუკრეს თოკით, ხელები - ჩულქით, ხოლო მეორე ჩულქის დახმარებით პირი აუკრეს. ვრავლოვმა შენიშნა, რომ ამ ყაჩაღებს არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ როგორ უნდა აუკრან ადამიანს პირი. და რომ თავზე შემოხვეული ჩულქი ვერანაირად ვერ შეუშლიდა მას ყვირილში ხელს. მაგრამ რადგან თავად ბიანა არ ეწინააღმდეგებოდა, ის არც ერეოდა.

Sie steckten sie dann wieder in den Sack; und der Räuber, der so schöne Knoten machen konnte, band ihn zu.

“Was ist nun mit ihm?” fragte der Hagere mit dem Messer und deutete auf Krückh.

“Wenn ihr wollt, trag ich den Sack,” schlug Krückh vor. “Mir scheint, als sei ich kräftiger als ihr.”

Die Räuber hatten nichts dagegen einzuwenden. Krückh warf den Sack mit Biana auf seine Schultern; und alsbald schon sehen wir ihn mitsamt den Räubern unseren Blicken entschwinden.

Was dann weiter geschah und was das alles überhaupt zu bedeuten hat, wissen wir nicht. Schon merkwürdig, das ganze...

მათ ისევ ჩატენეს ბიანა ტომარაში, ხოლო ყაჩაღმა, რომელსაც ასე მოხერხებულად შეეძლო კვანძების შეკვრა, ტომარას თავი მოუკრა.

„ამას რა ვუყოთ?“ იკითხა გამხდარმა დანიანმა ყაჩაღმა, და ხელი გაიშვირა ვრავლოვისკენ.

„თუ გსურთ, ტომარას მე წამოვიღებ“ შესთავაზა ვრავლოვმა „ვფიქრობ რომ თქვენზე ძლიერი ვარ“.

ყაჩაღები უარზე არ იყვნენ. ვრავლოვმა წამოიკიდა ტომარა მხრებზე; და მალე ის, ყაჩაღებთან ერთად, თავალს მიეფარა.

ხოლო რა მოხდა შემდგომ, და საერთოდ რას ნიშნავს ეს ყველაფერი - არ ვიცით. ძალიან უცნაურია...

© **Raymond Zoller**

[rzoller@klamurke.com](mailto:rzoller@klamurke.com)

თარგმანი ელენე ნანიტაშვილი